572
1985

ISSN 0132-5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 ივნისი № 6

ბავშვი



ერთად ვიყოთ!

თითქმის 40 წელი გავიდა მას შემდეგ... ორი წლის დამთავრებული იყო საზარელი, გამანადგურებელი ომი — II მსოფლიო ომი...

და აი, 1947 წლის ზაფხულში ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში მსოფლიოს ახალგაზრდები სამეგობროდ შეიკრიბნენ...

ერთად ვიყოთ! — ამბობდნენ ისინი — რომ აღარასოდეს არ იქნეს ომი!

ერთად ვიყოთ! ვისაუბროთ, ვიკამათოთ, ვიმხიარულოთ, ვიასპარეზოთ, გავიცნოთ ერთმანეთის შემოქმედება, რათა დავახლოვდეთ, ერთიმეორის ბედით დავინტერესდეთ, სიყვარულით შევმტკიცდეთ!

იმ ზაფხულის შემდეგ ასეთი შეხვედრები წესად იქცა — პრაღა, ბუდაპეშტი, ბერლინი, ბუქარესტი, ვარშავა, ვენა, ჰელსინკი, სოფია და სხვა ქალაქები მასპინძლობდნენ სხვადასხვა წლებში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალებს.

ამ ზაფხულს კი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი — მოსკოვი იქნება მსოფლიოს ახალგაზრდების მასპინძელი, უკვე მეორედ. 1957 წელს აქ ჩატარდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI ფესტივალი, წელს კი XII ფესტივალზე შეიკრიბებიან მთელი ქვეყნის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, მათ შორის იქნებიან საქართველოს წარგზავნილებიც და, იმედია, ზოგიერთი მათგანი ფესტივალის ლაურეატის წოდებით დაბრუნდება შინ.

დღეს ჩვენი ახალგაზრდობა ფესტივალის შესახვედრად ემზადება: ბევრმა შრომით სემესტრში, შაბათობებსა და კვირაობებზე გამომუშავებული თანხა მთლიანად ფესტივალის ფონდში გადარიცხა. ახლა რამდენნაირი ლამაზი სუვენირი მზადდება ფესტივალის სტუმრებისათვის. მათთვის გაიმართება სიმღერის თუ ცეკვის ანსამბლების, საესტრადო კოლექტივების და ცალკეული შემსრულებლების გამოსვლები. მოეწყობა ნახატების, პლაკატების, ფოტოების გამოფენა. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 400 სტუდენტი წარმოადგენს კომპოზიციას „ბრძოლა განთავისუფლებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ“, მომსახურების სფეროს ახალგაზრდები ცდილობენ უზადო მუშაობით მოიპოვონ უფლება, მოემსახურონ საფესტივალო ობიექტებს. ფესტივალის სტუმრებისათვის მოეწყობა ქართული ეროვნული კერძების გამოფენა-გაყიდვა.

...ძნელია ჩამოითვალოს ყველაფერი, რაც ფესტივალს ააციმციმ-ააფერადებს — მრავალგვარი, ფერადოვანი, ხალისიანი იქნება ახალგაზრდული შეხვედრები — ახალგაზრდების ერთად ყოფნა ხომ მუდამ ხალისით და სიცოცხლით არის სავსე. ამიტომ არის ყველა ახალგაზრდის სანუკვარი გულისთქმა: ერთად ვიყოთ! დავახლოვდეთ, შევმტკიცდეთ, გავძლიერდეთ! ერთად ვიბრძოლოთ მშვიდობიანი და ნათელი მომავლისათვის, სადაც არ იქნება არანაირი მონობა, არანაირი სისხლის ღვრა, არანაირი უსამართლობა.

ერთად ვიყოთ!

მაუვალა გონაშვილი

მზის იალქნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. 923

მზეს იალქანს გამოვაბამ—
ცისარტყელას იალქანს.
მოვარეს ვთხოვ ვერცხლის გვირგვინს
და სილაღეს—ნიავქარს,
მეგზურობას—ფრთათეთრ ჰეპლებს,
ფიფქებივით ჰატარებს...
წამიყვანე, მზის ხომალდო,
ცხრა მთა გადამატარე.
ამ ხომალდზე ყველას ვიწვევ,
ვინც კი ჩემი ტოლია,
ზევით ცაა, ცა კრიალა,
ქვევით მწვანე მოლია.
ჩვენი დღესასწაულია,
აბა დელი დელია,
გესმით, გესმით, ჩიტუნებიც
მშვიდობაზე მღერიან,
სიკეთეზე მღერიან და
სიყვარულზე მღერიან,
შეხეთ, ზეცა ია-იის,
ია-იის ფერია.
მზის იალქნით დავქრით ცაში,
ქარებს ვეთამაშებით,
გაღიმებულ მზეებს ვხატავთ
მთელი ქვეყნის ბავშვები.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მხატვარი ლადო ტატიშვილი



რუსუდან ლორთქიფანიძე

ყველაზე გონიერი ელჩი

პატარა, თვალებბრიალა ბიჭი გაოცებული მისჩერებოდა ტელევიზორის ეკრანს, სადაც წარმოუდგენელი საშინელებები ხდებოდა. ნაცრისფერი, სვასტიკიანი თვითმფრინავები ერთი დიდი ქალაქის თავზე ყვავების გუნდივით ირეოდნენ და მოწმენდილი ციდან სეტყვასავით უშენდნენ ბომბებს მშვიდობიან მოსახლეობას. ერთ-ერთი ბომბი საბავშვო ბაღის შენობას დაეცა, აფეთქდა, კედლები ჩამოაქცია და ცეცხლი გააჩინა. ეზოში მოთამაშე ბავშვებიდან ზოგი მოკლა, ზოგიც დაასახიჩრა და სამუდამოდ გააუბედურა.

ეს ნამდვილი საშინელება იყო.

— არა, არ უნდა იყოს ომი! — იყვირა პატარა ბიჭმა და ფეხზე წამოხტა, — რა დაუშავეს, რატომ ხოცავენ პატარებს?!

შეშინებული მშობლები ბავშვის ყვირილზე ოთახში შემოიჭრნენ. დედამ მკერდში ჩაიკრა აღელვებული შვილი, დააწყნარა, მიუალერსა და ლოგინში ჩააწვინა, მამა კი საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და თმაზე თბილი ხელისგული გადაუსვა.

— მამი, კიდევ იქნება ომი? — იკითხა შეშფოთებულმა ბიჭმა.

დაღვრემილი მამა ჩაფიქრდა, ბავშვს თვალებში ჩააცქერდა.

—ახლა ყოველი ქვეყნის ცნობილი ადამიანები, სახელმწიფო მოღვაწეები თავს იყრიან უცხოეთის ერთ დიდ ქალაქში, — უთხრა მამამ, — უნდათ, სამუდამოდ დაამკვიდრონ დედამიწაზე მშვიდობა. მართალია, იქ ომის მომხრეებიც იქნებიან, მაგრამ მჯერა, რომ სიკეთე და კაცთმოყვარეობა აუცილებლად გაიმარჯვებს... აუცილებლად! და ეს შენც უნდა გწამდეს.

მამა როდესაც წავიდა, ბიჭმა კიდევ დიდხანს იფიქრა ომზე და მშვიდობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, და ისე ჩაეძინა.

ესიზმრა: ერთ დიდ ბაღში ულამაზესი სასახლე იდგა და სწორედ იქ შეკრებილიყო სათათბიროდ ის ხალხი, ვისაც მშვიდობა უნდა დაეკანონებინა დედამიწაზე. ძალიან მოუნდა პატარა ბიჭს მათი თვალისშევლება, ერთ დიდ ნაძვზე აძვრა, კენწეროზე მოექცა და სარკმელში შეიხედა.

ვრცელ დარბაზში, დიდ, მრგვალ მაგიდას ლამაზად ჩაცმული ადამიანები შემოსხდომოდნენ, წინ თეთრი ფურცლები და ფერადი ფანქრები ეწყოთ.

— აი, თურმე სად ბჭობენ! — გაიფიქრა ბიჭუნამ და სმენად იქცა.

მაგიდასთან მსხდომნი მორიგეობით ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ, ბოლოს კენჭისყრის დრომაც მოაწია და ყველამ რაღაც სიტყვა დაწერა ფურცელზე, შემდეგ ის ფურცლები ერთიმეორეს დასანახად თავსზევით შემართეს.

ზოგზე „მშვიდობა“ ეწერა, ზოგზე კი — „ომი“.

პატარა ბიჭს გულმა უგრძნო, რომ თავადაც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, ასე უქმად ჯდომა და უსარგებლოდ ცქერა მას არ შეეძლო.

„ნეტავი ამ დარბაზში შესვლა შემეძლოს!“ — გულით ინატრა.

— მე მოგეხმარები. — მოესმა იმ ნაძვის ბუბუნა ხმა, რომელზეც თავად იყო შემომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯდარი და იმავ წამს ნაძვმა კენწერო გაიქნია და ბიჭუნა ღია ფანჯრის რაფაზე დაასკუპა.

— ეს ვინ არის, აქ საიდან მოხვდა? — მოისმა გაოცებული ხმები.

— მე ელჩი ვარ. — ამაყად განაცხადა ბიჭმა.

— კეთილი, მაგრამ რომელი ქვეყნის? — დაინტერესდა თეთრთმიანი მოხუცი, — აქ ხომ ყველა ქვეყნის წარმომადგენელი გვესწრება, ერთიც არ გვაკლია.

— მე ბავშვთა სამყაროს სრულუფლებიანი ელჩი ვარ. — ხმამაღლა გამოაცხადა ბიჭმა.

— ბავშვთა სამყაროსი? — გაიკვირვა თათბირის ყველა მონაწილემ.

— დიახ! — დაეთანხმა პატარა ბიჭი.

— კი მაგრამ, აქ რატომ მოხვედი?

— მე აქ იმიტომ გამოგეცხადეთ, რომ გადმოგცეთ დედამიწის ყოველი ბავშვის და მოზარდის ნება-სურვილი, — ამაყად და მტკიცედ განაცხადა ბიჭუნამ, — ჩვენ არ გვინდა ომი, ჩვენ გვსურს მშვიდობა.

— შეხედეთ ერთი, — დაცინვით თქვა ვიღაცამ, — განა შეიძლება ბავშვებმა იცოდნენ, რა არის ომი?

— ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, — დამაჯერებლად განაცხადა ბიჭუნამ, — ომი არის უბედურება, სიკვდილი, სიცოცხლის მოსპობა, ყველაფერი იმის განადგურება, რაც ჩვენ, მსოფლიოს ბავშვებს, ყველაზე მეტად გვიყვარს.

— ომის და მშვიდობის საკითხს მხოლოდ დიდები წყვეტენ. — ბრაზიანად განაცხადა ახლა სხვა კაცმა და მუქარით თითი დაუქნია.

მაგრამ პატარა ბიჭს არ შეშინებია.

— თქვენ მხოლოდ თითო ქვეყნის ელჩი ხართ, — მიუგო მან, — მე კი მთელი მსოფლიოს პატარების ელჩი გახლავართ, ბავშვები კი ყველაზე ბევრი არიან დედამიწაზე, უდიდესი სახელმწიფოს მოსახლეობაზეც კი გაცილებით მრავალნი.

თათბირის მონაწილეები წამით გაჩუმდნენ, ჩაფიქრდნენ, ყოველმა მათგანმა გაიხსენა საკუთარი შვილები, შვილიშვილები, მონაგარი.

პატარა ბიჭი მოთმინებით იდგა და ვარსკვლავებივით აციმციმებული თვალებით შესცქეროდა მათ.

ცოტა ხნის შემდეგ შეკრებილებმა ხელმეორედ ყარეს კენჭი და როდესაც კვლავ თავსზევით აღმართეს ფურცლები, მათზე მხოლოდ ერთადერთი სიტყვა ეწერა — „მ შ ვ ი დ ო ბ ა !“

— ვაშა, აღარასოდეს არ იქნება ომი! — მხიარულად შესძახა პატარა ბიჭმა.

— ვაშა! — ერთხმად მისცა ბანი მთელმა დარბაზმა.

დიდების ამ შეძახილზე ბიჭუნამ ტაში შემოჰკრა, სიხარულით ჰაერშიც შეხტა და გამოელვიძა კიდეც.

თავზემდგომი დედა სიყვარულით დასცქეროდა მას.

— ადექი, შვილო, — ტკბილი ხმით უთხრა, — სკოლაში წასვლის დროა.

ბიჭმა სიხარულით მოავლო თვალი მზით გაჩახჩახებულ ოთახს, შემდეგ უეცრად დედას ორთავე ხელი კისერზე შემოაჭდო, გულში ჩაეკრა და წკრიალა ხმით ახარა:

— დედა, დედამიწაზე აღარასოდეს იქნება ომი!

ნელი გაბრიჩიძე

სიზმრები

დედამიწა მრგვალია,
დედამიწა დიდია,
უფრო მაღლა მთვარეა
და მათ შორის ხიდია.
ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე
ხიდებია, ხიდები,
პატარები გადარბიან,
ვერ გადიან დიდები.
ერთმანეთში ირევიან
ჩიტები და ჩელტები,
იმ ჩელტებით შორს მივფრინავთ,
მზის მახლობლად ვჩერდებით.
მოფრინავენ თოჯინები,
ღუღუნებენ მტრედები,
ბზრიალებენ, წკრიალებენ
მარგალიტის წვეთები,
და რატომღაც სწორედ ამ დროს
გვაღვიძებენ დედები...

კვირადღე

ხომ მართალია, მამიკო,
სხვა დღე არა სჯობს კვირასა,
არც ბაღი, არც სამსახური,
არც ჩაკეტავენ ბინასა:
არ გადადგამენ ბუზღუნით
არც სამურაბე ქილასა,
კარებს გავუღებ მეგობრებს—
ნინოს, თათულის, თინასა;
რა კარგი დილა გათენდა,
დედა მიკითხავს „დილასა“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალო, ალო!



— სად გარბიხარ, ეკა?
— ტელეფონი რეკავს.
— ვინა ვარო, ვინო?
— ვინ და... ბურატინო...
უპოვია, ბები,
ოქროს გასაღები...

მეტყველ კაკა

ბაბუაჩემი სესია
ყველაზე უკეთესია,
კანფეტს გვირიგებს, ზღაპრებსაც
გვიყვება, როგორც წესია;
მეტყველ იყო, დაურგავს
რაც კი ამ ლამაზ მთებზეა;
ალბათ რამდენი იშრომა,
რომ დღემდე მოაქვთ... პენსია.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ფულუკრო

ადრე ორტოტა მუხა იყო, ღელისპირა კლდიდან რიყეზე გადმოხრილი. რაც ის რკოს ისხამდა, დედა ღორს გამოკვებავდა თავის გოჭებიანად მთელ შემოდგომას.

მერე ერთი ბანჯგვლიანი კაცი მოვიდა, ჯერ ერთ ტოტს დაუშინა ცული, მერე — მეორეს, ჩაჭრა, ღელეში ჩაყარა, აკაფა. რაც მსხვილი ტოტები იყო, ურემზე დაუდო და წაიღო, წვრილი ტოტები იქვე დატოვა, ზოგი წყალში, ზოგი — რიყეზე. წყალში ჩაყრილი ტოტები საამოდ ალუკლუკებდნენ ღელეს.

გაზაფხულისთვის ამ წვრილ ტოტებს სიდამპლე შეეპარათ. ივნისში, კოკისპირულ წვიმებში, ღელე ადიდდა, ტოტები მოხვეტა, გორვა-გორვით წაიღო და მდინარეში ჩაიტანა; მდინარემ ის ტოტები დიდ, გაშლილ რიყეზე მიმოფანტა.

მუხის კუტადდარჩენილმა ძირმა ყლორტები ამოიტანა, მაგრამ ერთ ნატოტარსაც გული ჩაულპა, ჩაუფულუროვდა. წავიდა ეს ფულურო ნელ-ნელა ქვემოთ, რამდენიმე წელიწადში ფესვებთან გარეთ გააღწია. გარედან ნიავი შემოიჭრა, ფულუროს კედლები ჩაასუფთავა, ნანუჟრალებშიც სანათურები გაჩნდა. იმ სანათურებს რომ მზე მიადგებოდა, სხივები თახთახა ოქროსფერ ლარებად იჭიმებოდა ფულუროს მოყავისფრო ბინდში.

პირველად ფულუროში ბებერი ობობა დასახლდა. რამდენიმე ადგილას აბლაბუდები გაჭიმა. იმ აბლაბუდებში მუდმივად იყო გაბმული მუხის ყვითელი თუ ხმელი ფოთლები; ნანუჟრალის სანათურებიდან შემოსული მზის სხვივები აბლაბუდებს და ფოთლებს აბრჭყვიალებდა, და ეს ბრჭყვიალი თუ იზიდავდა — შემოფრინდებოდნენ ტყის ბუზები და ბორები, პეპლები და აჩხაბაჩხა ფეხებიანი დიდი კოღოები, გაებმებოდნენ აბლაბუდებში, წვალობდნენ, უარესად იხლართებო-

დნენ, გამოელეოდათ ძალა და... მაშინ გამოჩნდებოდა ობობა. მოდიოდა თვალებგაციებული ფრთხილად, ფრთხილად. აბლაბუდაში გახვეულ მსხვერპლს რომ მიუახლოვდებოდა, ჯერ გაჩერდებოდა, აშტერდებოდა, თითქოს ულოცავდა, ერთად ამოძრავებდა წინა ფეხებს, მერე უცებ გაქანდებოდა, დააცხრებოდა და პატარა ბრძოლის შემდეგ მშვიდად გაბატონდებოდა მსხვერპლზე.

ობობა ფუღუროს მუხლის მაღლა, ერთ ყველაზე ბნელ და მიუდგომელ საყუნჭავში ცხოვრობდა. საყუნჭავის წინაც რამდენიმე პირი აბლაბუდა გაება. ღამით უმთავრესად ეძინა. დღისით, დილაადრიან, გადმოაწყობდა შემაღლებაზე ზემოთაღუნულ წინა ფეხებს და იმ ფეხებშორის თავდაწეული ათვალიერებდა თავის აბლაბუდებს. თუ რომელიმეში გაბმულ მწერს დაინახავდა, მაშინ საბრძოლოდ აფხორილი წამოვიდოდა.

ობობას წვიმის არ ეშინოდა — წვიმის ვერც ერთი წვეთი ობობის საყუნჭავამდე ვერ აღწევდა, წვიმა ვერ გლეჯდა ვერც აბლაბუდებს. არ ეშინოდა არც თოვლის — არც ფუღუროში შემოფარფატებული ადრეული თოვლის ფიფქები იყო საშიში. ეშინოდა ქარიშხლიანი სეტყვის. ფუღუროში არახუნებული სეტყვის მარცვლები აბლაბუდებს გლეჯდნენ. ობობას დიდი გარჯა სჭირდებოდა მათი ხელახლა გაბმისათვის. მაგრამ ქარიშხლიანი სეტყვა წელიწადში დიდი-დიდი ორსამჯერ მოსულიყო. ობობას ყველაზე მეტად ერთი უწესო ელამი თაგვი აწუხებდა. რა უნდოდა, რას დაეძებდა! შემოფაფხურდებოდა ის თაგვი ფუღუროში, მიმოავლებდა თავის ელამ თვალებს აქეთ-იქით, მერე ფაცხაფუცხით ავარდებოდა მაღლა, გაარღვევდა თითქმის ყველა აბლაბუდას, გაეხლართებოდა აბლაბუდები ფეხებში, მირბოდა და მისთრევდა აბლაბუდაც, მუხის ფოთლებიც. გაედევნებოდა ობობაც, მაგრამ რა! უკანმობრუნებული თაგვი ერთს შემოუბრიალებდა ელამ თვალებს, ან კიდევ უარესი, დაანახვებდა თავის თეთრ ბასრ კბილებს, და ობობა ჩერდებოდა, თავზე უფრო მაღლა აწეულ ფეხებში შეყუნჭული უკან იხევდა.

წავიდოდა თაგვი და დაბოღმილი ობობა თავიდან დაიწყებდა აბლაბუდების გაჭიმვას. მუშაობდა უმთავრესად თავდაღმა დაკიდებული. ისე იღლებოდა, ზოგჯერ საყუნჭავში მიბრუნების ნიათიც აღარ ჰქონდა. შიგ აბლაბუდაში იძინებდა. იცოდა, ეს ძალიან საშიში იყო, თაგვს რომ ასე ენახა, ვეღარ გადაურჩებოდა, მაგრამ მაინც იძინებდა.

ერთ საღამოს კი, სულ რომ არ ელოდა თაგვის გამოჩენას, ფუღუროს ბათქანით მოაწყდა რაღაც, გაისმა თაგვის გამწარებული წრუწუნი, ფხაჭუნი, მერე თაგვმა ვეღარც წრუწუნი შესძლო. გულგახეთქილი ობობა, მიკრული თავისი საყუნჭავის კედელს, ნიბ წამოწევას ევღარ ბედავდა. ბოლოს, ყოველგვარი ხმაური რომ მიწყდა, ნელ-ნელა წამოვიდა წინ, ჩაიხედა დაბლა და ისევ შეშინებულმა დაიხია უკან. ფუღუროში ყვითლად აბრიალებულ თვალებიანი ბუ იჯდა და მოკაუჭებული ნისკარტით ძიძგნიდა თაგვს. თან ეშინოდა ობობას, თან უხაროდა — მისი მტერი თაგვუნა რომ ბუს კლანჭებში იყო! იყუჩა, იყუჩა და ისევ გადაიხედა ძირს. აღარც ბუ იყო, აღარც თაგვი. ამან მთლად დაამშვიდა. ღამით რამდენჯერმე გაიღვიძა შემკრთალმა. თითქოს ვიღაცა თავს ესხმოდა. არავინ კი იყო. ისევ იძინებდა. დილას სისხლი და თაგვის ბურდღლები შენიშნა ფუღუროს ძირში. უნდოდა ძირს ჩასვლა, ვერ გაბედა. ის დღე რაღაც არასასიამოვნოს მოლოდინში გაატარა. იმ ღამესაც გადმოსახედ შემაღლებულზე ფეხებშემოწყობილს ეძინა, და მართლაც, მეორე დილას, გათენებისას, ისევ მოფრინდა, მოფართხუნდა ბუ, თანაც, უკვე მარტო კი არა, მოიყვანა მეორეც. შესხდნენ ფუღუროს ერთ შეღუნულში, ისხდნენ, თვალებს აბრიალებდნენ, აქეთ-იქით იხედებოდნენ, რაღაცას ჩიფჩიფებდნენ. მერე მიჰყუდეს მხარი მხარს, მიადეს თავი თავს და დაიძინეს. ეძინათ მთელ დღეს. საღამოს ფუღუროდან გაფრინდნენ, დაფრაშფრაშობდნენ ველებში, გათენებისას ისევ ფუღუროში დაბრუნდნენ. ისევ ერთმანეთის გვერდით დასხდნენ, ისევ მიადეს თავი თავს და დაიძინეს. თითქოს არაფერს უშლიდნენ ეს ბუები ბებერ ობობას, მაგრამ მაინც ნერვები ეშლებოდა. აიწევდა ფეხებზე მაღლა-მაღლა, აბრიალებდა მრისხანედ თვალებს და დაიწევდა, მრგვალ მუცელს ძირს ახახუნებდა. თანაც კიდევ რა — დიდად უსუფთაოები აღმოჩდნენ ის ბუები. ძილშივე, მობრუნდებოდნენ, ოდნავ ასწევდნენ ბოლოს და თეთრად ჩამოხაზავდნენ ფუღუროს ყავისფერ კედელს. სუნი დგებოდა აუტანელი.

ერთ ხანს კი გაუძლო ობობამ ამგვარ ყოფას, მერე ამოვიდა ფუღუროდან. გაჩერდა მის კიდეზე, მზეში. იდგა, იყურებოდა აქეთ-იქით, ასწია წინაფეხები, თითქოს თავის გულში მზეს უთხრა რაღაც, მერე დაღუნა თავი და დაადგა გზას. ჩავიდა მუხიდან ძირს. მიდიოდა ბალახებში, ავიდოდა მაღალ ბალახზე, თან შიშით, თან მუქარით მოავლებდა მიდამოს თვალს და ისევ განაგრძობდა გზას.

ალბათ მალე იპოვიდა ობობა ახალ ფუღუროს, მაგრამ როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება ამ ფუღუროში, ეს არავინ იცოდა. ჯერჯერობით კი ობობა ყოჩაღად მიდიოდა.

ჟიუვარდ ისაკაძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მზე გვაკლია, არც თოვლი

— ამ დილით, ტელევიზორში
რა თქვეს, უსმენდი, მაისო?!
— რა თქვეს?!
— აფრიკის ქვეყნებში
სულმუდამ სიცხე არისო!
— სულმუდამ სიცხე? ზამთარშიც?
რას ამბობ, ბიჭო, ოტია!
— აფრიკის ცისქვეშ ზამთარი
საერთოდ არა სცოდნია!
თუ ვინმესა აქვს, სამშობლო
ჩვენ გვაქვს ნამდვილად ზღაპრული,
შემოდგომაა,
ზამთარი,
გაზაფხული თუ ზაფხული,
არც მზე გვაკლია,
არც თოვლი,
არც ზღვის ტალღების დგაფუნი!

სიმღერა საქართველოზე

შენი ზეცა,
შენი მიწა,
მთები,
ზვრები,
ბალახები,
გაჩენამდე შემიყვარდა,—
სანამ თვალებს გავახელდი!
ახლა, როცა შვებით გიმზერ
და ვჭიკჭიკობ შოთას ენით,
სიამაყის ფრთები მესხმის,
ღვიძლი შვილი რომ ვარ შენი!
უსაშველოდ ნაწამებო,
ნაოხარო,
ნახანძრალო,
ნურც გავზრდილვარ, შენს გაფურჩქვნას
თაჯი თუ არ ვანაცვალო!

ხულხან აბდალაძე

ქართული ასოები

სულ პირველად ჩემს რვეულში,
კარგად ვიცი,
კარგად მახსოვს,
ერთმანეთზე გაბუტული
შორით უჯდა ასო ასოს.
მერე ანი,
ბანი,
განი
გადავები სასოებით
და ვისწავლე სუფთა წერა
გადაბმული ასოებით.
სულ გავავსე ნაწერებით
ჩემი თეთრი რვეულები.
მიეყვარს,
მიეყვარს ასოები
ხელ-მკლავგადასვეულები.

ლადო მრელაშვილი

ნათიაო

ნათიაო, ნათიაო,
გოგო ლამაზ ბაბთიანო,
რამოდენა თვალები გაქვს—
ვარსკვლავებად ანთიაო.
ჯერ ისეთი პატარა ხარ,
შენთვის ცხრაც კი ათიაო,
მაინც სახლი აიკელი—
ისე დახტი-დაფრიალობ.
მე კი გაკვირვებული ვარ,
როგორ გჯობნის თათიაო—
შენზე მეტ ფაფას მიირთმევს,
მეტად მარიფათიანობს.

იოსეფ აფციაური

ყოჩივარდა

ოქროს ცვარი დამცემია,
დილას ავუფეთქებივარ,
არ ვიცოდი, დედამიწას
მზეზე მეტად ვეყვარებივარ.
მთვარე გამიხარებია,
ვარსკვლავს გავუხარებივარ,
მარტი გამიდარებია,
აპრილს გავუდარებივარ.

ზაქარია ფერაზადიშვილი

ქართული ხალხური თამაშობანი ფერეიდანში

„კანკლობა“ (ასკინკილა) წრეში

მონაწილეობს 13 წლამდე ასაკის 20-მდე გოგონა და ვაჟი. თამაშის მსურველნი შემოავლებენ 10-მდე მეტრი სიგანის წრეს და ზედ მიახაზავენ ისეთი ზომის ოთხკუთხედს, რომ შიგ თავისუფლად შეეძლოთ დადგომა თამაშის მონაწილეებს. ამ ოთხკუთხედს ჰქვია ბერა.

მოთამაშენი ორ ჯგუფად განაწილდებიან „დახილვის“ წესით, რისთვისაც წინასწარ შეარჩევენ ორ „დედას“. ისინი დადგებიან ბერაში და დანარჩენ მონაწილეებს ეტყვიან „წადით და დაიხილეთო“.

ეს უკანასკნელნი თავიანთი სურვილისა და შეხედულების მიხედვით დაწყვილდებიან თანაბარი სიძლიერის მოთამაშეებად. გადიან ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე და საიდუმლოდ თანხმდებიან ერთიმეორისათვის სახელების დარქმევაში. სახელებად ირქმევენ, ვთქვათ,—„დიკას“ და „ჯენკს“ (ორივე საქართველოდან ფერეიდანში წაღებული და გავრცელებული ხორბლის ჯიშებია), „ვაზსა“ და „ნიგოზს“, „ვაშლსა“ და „მსხალს“ და ა. შ. რის შემდეგაც „დახილული“, ერთიმეორეზე ხელგადახვეული წყვილები რიგრიგობით მოდიან ბერაში მდგომ „დედებთან“ და ეკითხებიან, თუ რომელს სურს „დიკა“ და რომელს—„ჯენკი“ და ა. შ. „დედები“, რომლებმაც არ იციან რომელია „დიკა“ და რომელია „ჯენკი“, მოთამაშეებს არჩევენ მხოლოდ ახლად შერქმეული სახელების მიხედვით. ასევე მოხდება ყოველი მომდევნო წყვილის განაწილება, რითაც მოთამაშენი გაიყოფიან თანაბარი სიძლიერის ჯგუფად და „დახილვაც“ მოთავდება.

ცალმხარეს დასვეელებული ბრტყელი ქვის აგდებით ან კენჭისყრით ერთ-ერთი ჯგუფის მოთამაშეებს მოუწევთ წრეში ჩადგომა, მეორე ჯგუფისას კი—ბერაში.

ბერაში ჩამდგართაგან ერთ-ერთი მოთამაშე კანკლობით (ასკინკილით) შემოდის წრეში და კანკლობითვე დასდევს მოწინააღმდეგეებს. რომელსაც კი თავისუფალ ფეხს ფეხზე მიაკარებს, დაკენწილი (დაიჰკენწილი, დაჲკენწილი), დაკენტილი, (დაიჰკენტილი, დაჲკენტილი) ანუ ჩაჭრილია, „მკვდარია“ („კდარია“). ჩაჭრილები ცალკე გამოჰყავთ და მათაც ბერაში აყენებენ. ამ დევნის დროს თუ წრეში მდგომთაგან რომელიმემ წრის გარეთ დაადგა ფეხი, ეს ნიშნავს, რომ მოუვიდა „იწი“ და ისიც ჩაჭრილია (ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ქართულ თამაშობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული ,,ილი'' და ,,ფუწი'', როდესაც, ვთქვათ კენჭაობაში, რიკაობაში ილეთის შეშლის დროს თუკი ამ სიტყვის თქმას დაასწრებ, ჩაჭრილი არ ხარ და, პირიქით, ჩაჭრილი ხარ, თუ მოწინააღმდეგემ დაგასწრო ,,ილის'' ან ,,ფუწის'' თქმა). დამწყები მოთამაშე ასე დასდევს მოწინააღმდეგეებს, ვიდრე ერთს ან რამდენიმეს არ ჩასჭრის, უფრო სწორად ვიდრე არ დაიღლება და მიწაზე მეორე ფეხს არ დააკარებს, რითაც თვითონ არის ჩაჭრილი. მის ნაცვლად თამაშის გასაგრძელებლად წრეში უნდა შემოვიდეს მისი ჯგუფის სხვა მოთამაშე, და ა. შ.

თუ ბერაში მდგომნი ყველას ჩაჭრიან, ისინი წრეში მდგომებმა ზურგზე უნდა მოიკიდონ, და იმდენჯერ გაატარ-გამოატარონ წრის სიგანეზე, რამდენი მოთამაშეცაა ჯგუფში. ამასთან შეიძლება წინასწარ შეთანხმდნენ წრეში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ გატარებაზე.

ამის შემდეგ შეუძლიათ თამაში ამგვარადვე გაიმეორონ. მაგრამ, თუ პირიქით ბერაში მდგომი ყველა მოთამაშე ჩაიჭრა, ამ შემთხვევაში გუნდები ერთიმეორეს შეუცვლიან ადგილს—ბერაში მდგომნი წრეში ჩადგებიან, წრეში მდგომნი კი—ბერაში და ასე გააგრძელებენ თამაშს.

,,კანკლობის'' შესაბამისი თამაშობანი საქართველოში ცნობილია ,,ასკინკილის'', ,,ჩალიკ-მალიკის'' და სხვა სახელწოდებებით.

წკიპარჯობა

მონაწილეობს ორიდან ათამდე გოგონა და ვაჟი 7—8 წლის ასაკიდან.

თამაშის დამწყები შეირჩევა გათვლით. გათვლა ასეთია: ,,ალგენ, დალგენ, ჩაჰარ, ჩამბარ, მუშტი, ყამბარ, თასი თუსი, მელ(ი)ქო, მაჰმად(ო) კოღერი ხერსი''.

ეს გათვლა კი ნამდვილად ქართული არ არის! გათვლა ხდება მოთამაშეთა თითებზე, ვისაც ბოლო სიტყვა ,,შერჩება'', გასულია. მეორე გათვლა იწყება მომდევნო თითზე და ა. შ.

თუ ორი ბავშვი თამაშობს, გათვლა ხდება ორივე ბავშვის ყველა თითზე. თუ სამი ბავშვია მოთამაშე—თითო ხელის ყველა თითზე, თუ მეტი მონაწილეა,—თითო თითზე. ორი ან სამი ბავშვის შემთხვევაში გათვლა იწყება ცერის მომდევნო თითიდან. თუ თითო თითზე ხდება გათვლა, მაშინ სულ ერთია ვისგან დაიწყებენ გათვლას. ბოლოს დარჩენილი იწყებს თამაშს. იგი ხელებს იფარებს თვალებზე (იხუჭება). დანარჩენთაგან ერთ-ერთი რომელიმე თითით თვალზე აფარებულ ხელებზე წკიპარტს (წკიპურტს) ჰკრავს. დახუჭულმა უნდა გამოიცნოს, რომელი თითით იყო დარტყმული წკიპარტი.

თვალგახელილ თამაშის დამწყებს წკიპარტის დამრტყმელმა ის ხელი უნდა აჩვენოს, რომლითაც წკიპარტი ჰკრა.

თუ ვერ გამოიცნო, ისევ თვითონ დაიხუჭება (აიფარებს ხელებს), ხოლო თუ გამოიცნო,— თვალებზე ხელებს აიფარებს წკიპარტის დამრტყმელი.

თამაშის დამწყების შერჩევა შეიძლება კენჭისყრითაც.

მსგავსი თამაშობა საქართველოში ,,ქუდში ჩახედობის'', ,,ქერის ჭამისა'' და სხვა სახელწოდებებითაა ცნობილი.

ილია სიხარულიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვა

აგერ ვაკე მინდორია,
ხეები დგას ირგვლივ ჯარად;
წრე შეუკრავთ პაწაწინებს,
წრეში მწკრივად ჩამომდგარან:
ისმის ტაში, მწყობრი ტაში,
ტრიალებენ, როგორც ჯარა;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“
გამოუხტა ოთარიკო
და „ქართული“ დაუარა;
ფეხებს ისე ათამაშებს,
ბალახს არც კი დააკარა;
მზეხათუნა მასთან ცეკვავს,
გადაიქცნენ ნიავქარად;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“
„ქართულს“ მოჰყვა „ბალდადური,“
„დავლური“ და „განდაგანა“,
ცეკვაში რომ სხვას ჩამორჩეს,
ჩვენში არის ვინმე განა?
გიამ ნუნუ ათამაშა,
რეზომ—მზია და მანანა;
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას,
ამ პატარას!“
ტაში, ტაში, ტაში, ტაში!..
ყველამ ფეხებს აუჩქარა;
დაფრინავენ მხრებგაშლილი
ჩიტუნების დასადარად:
დოლი მღერის: „ვათამაშებ
ამ პატარას,
იმ პატარას,
იმ პატარას.
ამ პატარას!“

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი

ბიკი გეგეჭკორი

ბავშვებო! ალბათ ყველას დაგიდგამთ ფანჯრის რაფაზე ჯამით საპნიანი წყალი, მერე დახვეული ქაღალდის წვრილი მილი ჩაგისველებიათ შიგ და ჰაერში აგიფარფატებიათ ცისარტყელას ყველა ფერით მზეზე აბრჭყვიალებული დიდი და პატარა ბუშტები, ზოგი რომ შენობის სახურავამდე ადის და ბოლოს, კედლებს დაჯახებული ან ქვაფენილზე დაცემული, სკდება.

მეცხრამეტე საუკუნის სახელგანთქმულ ფრანგ მხატვარს ედუარდ მანეს სწორედ ამ საქმით გართული ბიჭი დაუხატავს.

ჩვენს გარშემო არაფერია ისეთი, საინტერესო რომ არ იყოს. ჩვენს გარშემოა ლამაზი და მრავალფეროვანი ბუნება, რომელიც ყოველ წუთს იცვლება. ედუარდ მანე ცდილობს, რაც მისმა თვალმა ამ წუთში დაინახა—სინათლის თრთოლვა, ფერების ერთმანეთში გადასვლა და შეერთება, ფერადოვანი ნათელ-ჩრდილის თამაში—სანამ შეიცვლებოდეს, მანამდე აღბეჭდოს ტილოზე ზეთის საღებავებით. იგი ცდილობს პოეტურობა მიანიჭოს იმას, რაც ჩვეულებრივია, ყოველდღიურია, რაც ჩვენს გარშემოა.

ასეა ამ ნახატზეც. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივია, მაგრამ ბავშვის ნათელი თმით, ფიქრიანი სახით, აბრჭყვიალებული საპნის ბუშტით, განათებული ხალათისა და ჯამის ფერით მხატვარი გვაგრძნობინებს სიხარულისა და მღელვარების წამს. ამ წამით იგი ოცნებად ქცეული ბავშვობის მოგონებას აცოცხლებს.

გურამ პეტრიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოხტა კაცი

მიდიოდა კოხტა კაცი,
მიდიოდა ჩქარა.
— აუჰ, როგორ ეჩქარება!
თავს იქნევდა ხალხი.
მიხტუნავდა კოხტა კაცი,
მიხტუნავდა ტყეში,
— აუჰ, როგორ ეჩქარება!
თავს იქნევდა ზღარბი.
მიცურავდა კოხტა კაცი,
მიცურავდა ზღვაში.
— აუჰ, როგორ ეჩქარება!
თავს აქნევდა თევზი,
მიცოცავდა კოხტა კაცი,
მიცოცავდა კლდეზე,
— აუჰ, როგორ ეჩქარება!
თავს აქნევდა ჯიხვი.
მიფრინავდა კოხტა კაცი,
მიფრინავდა ცაში.
— აუჰ, როგორ ეჩქარება!
თავს იქნევდა ჩიტი.
მიდიოდა კოხტა კაცი,
ფრენით,
ცურვით,
ცოცვით,
ხტუნვით,
— აუჰ, როგორ იჩქაროდა...
და მივიდა სახლში.
პალტოც კი არ გაუხდია
მიაშურა დივანს,
აუჰ, როგორ იჩქაროდა...
აუჰ, როგორ ხვრინავს.

მხატვარი თეიმო მჟედლიძე

პაატა მოისწრაფიშვილი

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო აგური

17. 973

აგურით დატვირთული ათასობით ურემი მშენებლობისაკენ მიემართებოდა. გზა ოღ-როჩოღრო იყო, ზოგან გაუვალიც, მაგრამ ხარები თავს არ ზოგავდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ ბავშვთა სახლის ასაშენებელი აგური მიჰქონდათ. აგერ ბოლო ურემმა თხრილი გადაიარა, უკანა თვლები ჩამოარტყა და აგურები წამოშალა; ერთ-ერთმა აგურმა თავი ვერ შეიმაგრა და პირდაპირ გუბეში ჩავარდა. ურემმა გზა გააგრძელა და ჰორიზონტის მკრთალ ზოლს მიეფარა. დარჩა აგური მარტოდმარტო. მიიხედ-მოიხედა, ველზე მოთარეშე ქარის გარდა ვერაფერი დაინახა, ცრემლები მოერია, გული ამოუჯდა და ატირდა.

— ვინ ტირის მანდ,—გაისმა ხმა. აგურმა თავი მაღლა ასწია და მის ზემოთ ქვაზე წამოსკუპული ბაყაყი დაინახა.—მე ვტირი,—უპასუხა სლუკუნით აგურმა.—მერე რა გატირებს?—მე მეგობრებთან ერთად ბავშვთა სახლის ასაშენებლად მივდიოდი, მაგრამ ურმიდან გადმოვვარდი... ველარასოდეს ველარ ვიქნები ბავშვთა სახლის კედელში... კიდევ უნდოდა აგურს რაღაც ეთქვა, მაგრამ ისევ გული ამოუჯდა.

— ნუ ტირი, რამეს მოვიფიქრებთ,—უთხრა ბაყაყმა, დაუსტვინა და თავის ახლობელ ბაყაყებს მოუყარა თავი. გამოაბეს ბაყაყებმა მსხვილი ბალახის ღერი აგურს, ჩადგნენ მწკრივში და სრიალსრიალით გაიყვანეს მშენებლობისაკენ მიმავალ მთავარ გზაზე. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ ხმა შემოესმათ:

— ეეეე, ბაყაყებო, საით მიათრევთ აგურს?—ეძახდათ ბორცვიდან მინდვრის თაგვი.

— ბავშვთა სახლის აგურია, ურმიდან გადმოვარდა, მშენებლობაზე მიგვყავს.

— მოიცადეთ, მეც მოგეხმარებით,—და ჩადგა მწკრივში მინდვრის თაგვიც.

ბევრი იარეს თუ ცოტა, პატარა ბაჭიას ხმა გაიგონეს, საით მიათრევთ აგურსო, ეკითხებოდა.

— ბავშვთა სახლის აგურია, ურმიდან გადმოვარდა, მშენებლობაზე მიგვყავს.—მიუგეს ბაჭიას.

— მოიცადეთ, მეც მოგეხმარებითო,—და ჩადგა ბაჭიაც მწკრივში. მცირე მანძილის გავლის შემდეგ თავზე მტრედმა გადაუფრინა.—საით მიათრევთ აგურსო,—ჩამოსძახა.—ბავშვთა სახლის მშენებლობაზეო.

— მოიცადეთ, მეც მოგეხმარებითო,—მტრედმაც ნისკარტი ჩაავლო ბალახის ღეროს. შემდეგ მწკრივში მელია ჩადგა, მერე შველი, მგელი, და აი, როგორც იქნა, მშენებლობაც გამოჩნდა. ფრთხილად მიასრიალეს აგური და თვითონ ბუჩქებიდან დაუწყეს თვალთვალი.

— ერთი აგური მაკლდება, მანდ სადმე მოძებნე და მომაწოდე, ჩამოსძახა მშენებელმა მშენებელს. და აი ადამიანის ხელი შეეხო აგურს.

— ჩამოუშვი თოკი, ვიპოვე....

სიხარულითა და სიამაყით აივსო აგური. ადიოდა მაღლა, ბავშვთა სახლის კედლის დასამთავრებლად, და მადლიერების ცრემლით გაბრწყინებული თვალებით უყურებდა თავის მეგობრებს, რომლებიც დაბლა ბუჩქებში სიხარულით ცეკვავდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3
4	5	6
7	8	9

მაგიური კვადრატი

მაგიური კვადრატი ისეთი კვადრატია, რომლის ნებისმიერ სვეტში, სტრიქონსა თუ დიაგონალში მოთავსებული რიცხვების ჯამი ერთიდაიგივეა.

1. მტყუანი, **2**. ჭრელი, **3**. კარგი, **4**. ხვადი, **5**. ტკბილი, **6**. მსუქანი, **7**. ბნელი, **8**. მაღალი, **9**. უკან.

ჩამოთვლილ სიტყვებს მოუძებნეთ საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები). დათვალეთ მათში ასოების რაოდენობა და ჩაწერეთ მოცემული კვადრატის შესაბამის უჯრაში.

თუ ანტონიმებს სწორად ამოიცნობთ, მიიღებთ მაგიურ კვადრატს.

უშანგ სახლთხუციშვილი

კამოსკნა

მარო ბებოს კაღათაში კვერცხები ჩაეწყო და ბაზარში მიდიოდა. მას სკოლისაკენ მიმავალი პაატა წამოეწია.

— გამარჯობათ, მარო ბებო! მოგეხმარებით, აღბათ კაღათა მძიმეა,

– გამარჯობა, შვილო, მძიმე არ არის, მაგრამ მაინც მაღლობელი ვიქნები, თუ მიმატანინებ, — უთხრა მარო ბებომ და კაღათა მიაწოდა.

— მართლაც არ ყოფილა მძიმე! რამდენი კვერცხია,— ასი?— იკითხა პაატამ.

— არა, ასი არ არის,—უპასუხა მარო ბებომ და მცირე დაფიქრების შემდეგ უთხრა: აბა, მიხვდი, რამდენია. დილით კვერცხებს რომ ვითვლიდი, ორ-ორად დავთვალე და ერთი ცალი კენტად დარჩა, სამ-სამად დავთვალე და ისევ ერთი დარჩა, ოთხ-ოთხად დავთვალე – კვლავ ერთი ზედმეტი აღმოჩნდა, ხუთ-ხუთად დავთვალე და ისევ და ისევ ერთი დარჩა...

პაატა ჩაფიქრდა.

ამასობაში ბაზარსაც მიუახლოვდნენ. პაატამ კაღათა მარო ბებოს დაუბრუნა და ღიმილით უთხრა:—ვიცი, მარო ბებო, რამდენი კვერცხიც არის—სამოცდაერთი!

—სწორია, ჭკვიანი ბიჭი ყოფილხარ, თანაც ზრდილობიანი. აბა ახლა გასწი სკოლისაკენ, არ დაგაგვიანდეს!

როგორ მიხვდა პაატა, რომ კაღათაში 61 კვერცხი იყო?



შოთა ამირანაშვილი

ბიოლოგიური კროსვორდი

შვეულად: 1. ფუტკრის მსგავსი, პირუტყვის აბეზარა მწერი, მწარე კბენა იცის. 2. შინაური ფრინველი. 3. პარკოსანი მცენარე. 4. კურკოვანი ნაყოფის მქონე ხეხილი. 7. მაღალ მთებში მცხოვრები მტაცებელი ფრინველი. 8. მიწის მთხრელი ცხოველი. 9. დატოტვილრქებიანი გარეული ცხოველი. 10. წყალ-ხმელეთის ხტუნია ცხოველი. 11. ველური ეკლიანი ბალახოვანი მცენარე. 12. ველური მცენარე, რომელიც ისხამს წვრილი, შავი მარცვლებით დახუნძლულ მტევანა ნაყოფს. 14. მცენარის ერთ-ერთი ძირითადი მკვებავი ნაწილი. 15. ფუტკრის გაკეთებული ცვილის „ჭურჭელი" თაფლის დასაგროვებლად.

თარაზულად: 4. ძალზე გავრცელებული წყვილფრთიანი მწერი. 5. საქართველოში გავრცელებული მარადმწვანე ბუჩქი, რომლის სამშობლოდ ითვლება ჩინეთი. 6. მცენარე, რომელსაც არც ფოთოლი აქვს, არც ყვავილი, არც ნაყოფი; ნაწვიმარზე იცის ამოსვლა. 8. ქინქლას მსგავსი წვრილი მწერი. 13. მაგარი მერქნის მქონე ფოთლოვანი ხემცენარე. 16. ჭაობიან ადგილებში გავრცელებული ბალახოვანი მცენარე. 17. დედამიწის ერთგვარი მცენარეული საფარი. 18. ხვიარა ბალახოვანი მცენარე, იზრდება ტყეებში, მეტწილად მდინარეების პირას.

ᲬᲘᲚᲘ

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲫᲐᲠᲐᲫᲔ

სარედაქციო კოლეგია: ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ, ᲘᲚᲘᲐ ᲐᲜᲗᲔᲚᲐᲕᲐ, ᲒᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲓᲔᲛᲣᲠᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲘᲚᲐ ᲔᲠᲐᲫᲔ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲙᲝᲒᲐᲮᲘᲫᲔ, ᲒᲔᲚᲐ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲣᲕᲐᲚᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲣᲠᲮᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (სამხატვრო რედაქტორი), ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘ (პ/მგ. მდივანი), ᲒᲘᲕᲘ ᲫᲔᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ.

ტექნიკური რედაქტორი
ᲔᲜᲓᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 29. 03. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 05. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/3. ფიზ.. ნაბ. ფურცე. 2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა 783.

ყდაზე ნახატი ᲜᲐᲜᲐ ᲭᲣᲠᲦᲣᲚᲘᲐᲜᲘ

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 783

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76055

b 83/82

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ნანა იოსელიანი

ამ ნახატებს შორის ნახეთ 12 განსხვავება